ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1688003

ნომერი: AR1277687

თარიღი : 12.01.2015

გაცემის თარიღი : 20.01.2015

გაცნობის თარიღი : 21.01.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გურამ ფანჯიკიძე , შესახვევი I , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუსაშვილი პ/ნ 01023003865
- სან-ზონა 2ა კორპ.ბ#31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 12 იანვრის #AR1277687 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.06.2014წ. #1298253 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, 06.06.2014წ. #1298253 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ბუდაპეშტის პირველი შესახვევი #6/ ბუდაპეშტის პირველი შესახვევი #8 (ნაკვ. #5/43)/ბუდაპეშტის პირველი შესახვევი #8 (ნაკვ. #5/44), საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.10.14.005.055) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მოგვიანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014წ. 22 დეკემბრის #ბ-12/1424725-16 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.06.2014წ. #1298253 ბრძანებაში.
იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ შემდეგი თანმიმდევრობით: „სამართლებრივი საკითხები“, „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“.
ამასთან გაითვალისწინეთ, იმისათის, რომ სამსახურმა იმჯელოს აღნიშნულ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნას იმ სართულების საპროექტო და არსებული გეგმები, სადაც დაშვებული იქნა შეცდომა, გასწორებული ფართების მითითებით.